

Geo დაიჯესტი

№11 / ნოემბერი, 2021 წ.



სარჩევი

ნატო-ს რიგის მინისტრიალი და საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივა.....	3
უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა კრიზისისთვის არ არის მზად.....	4
არასაკმარისი თავდაცვის საშუალებები აშშ-ის წყნარი ოკეანის საბრძოლო თეატრზე.....	5
COVID - 19 და „მწვანე პასპორტი“	6

ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისის“ ამერიკისმცოდნეობისა და ევროატლანტიკური მიმართულების დირექტორი

ნატო-ს რიგის მინისტრიალი და საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივა



https://www.nato.int/cps/en/natohq/news_188755.htm?selectedLocale=en

2021 წლის 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს რიგაში ნატო-ს მინისტრიალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ალიანსის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად საქართველოსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებმაც მიიღეს. ნატო-ს რიგის მინისტრიალზე საქართველოსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრების მიწვევა და მათთან ერთად ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომის ფარგლებში უსაფრთხოების მთავარ გამოწვევებზე საუბარი მიანიშნებს, რომ ალიანსისათვის ორივე სახელმწიფო ღირებული პარტნიორია. ჩვენ საერთო საფრთხე გვაერთიანებს და მას რუსეთის ფედერაცია ჰქვია. ისტორიულადაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნა საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხეების შეკავების აუცილებლობამ განაპირობა. მიუხედავად „ცივი ომის“ დასრულებისა, რუსეთს ომის რიტორიკა არ შეუცვლია და სამწუხაროდ, ეს კონკრეტული აგრესიული მოქმედებების განხორციელებით ვიხილეთ როგორც საქართველოს, ასევე უკრაინის მაგალითზე. რუსეთს სურს ე.წ. „გავლენის სფეროების“ აღდგენა და გაფართოება. კრემლის აღნიშნული დღის წესრიგი დასავლეთისგან მოითხოვს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას, მათ შორის საქართველოსა და უკრაინისათვის უსაფრთხოების რეალური გარანტიების მინიჭებას. ეს კი ალიანსში წევრობით მიიღწევა. ამიტომაც ნატო-მ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის რჩება ერთგული იმ პოლიტიკური დაპირებისა, რომელიც 2008 წელს მოკავშირეებმა ბუქარესტის სამიტის დეკლარაციაში ასახეს და გულისხმობს ალიანსში სრულფასოვან წევრობას.

ასევე, ნიშანდობლივია, რომ მინისტრიალზე საქართველოსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე იმსჯელეს. ეს გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ნატო-ს მადრიდის 2022 წლის სამიტზე მისაღებ ალიანსის ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში სათანადოდ უნდა გამოიკვეთოს საქართველოსა და უკრაინის, როგორც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების როლი. ამ პროცესმა და რეგიონში მიმდინარე ცვლილებებმა უნდა დააჩქარონ ჩვენი ალიანსში წევრობა. მანამდე კი აუცილებელია, საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა მაქსიმალურად შესაძლებლობების შექმნის ქვაკუთხედად ვაქციოთ. მიუხედავად სირთულეებისა, დროა, საკითხებს დიდი სტრატეგიის

პრიზმით შევხედოთ. ახალი ფუქნციის შესაძენად აუცილებელია ქვეყნის ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო, ლოგისტიკური, ენერგეტიკული, საგანმანათლებლო და საფინანსო სისტემების პოტენციალის განსაზღვრა და განვითარება. ამასთანავე, მონაცემების ეპოქაში აუცილებელია მოვიზიდოთ ციფრულ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ტრანსნაციონალური კომპანიები და შევუქმნათ სათანადო პირობები საქართველოში თავიანთი წარმომადგენლობების გასახსნელად. ეს კი მოგვცემს შესაძლებლობას განვახორციელოთ ფართომასშტაბიანი საკომუნიკაციო პროექტები და რეალურად გავხდეთ რეგიონალური ჰაბი.

ჩვენ გვჭირდება მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკა ქვეყნის განვითარების კონკრეტული დღის წესრიგით, რომელშიც აისახება სახელმწიფოს მშენებლობისათვის აუცილებელი ყველა საკვანძო მიმართულება. ასევე, დემოკრატიული რეფორმების განხორციელებით საბოლოოდ უნდა ჩამოვაცალიბოთ სამართლის, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული პოლიტიკური ინსტიტუტები. ამასთანავე, ამა თუ იმ სფეროს მიხედვით სტრატეგიის შემუშავების პროცესში შესაბამისი მიდგომებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რაც გულისხმობს შედეგზე, მათი მიღწევის გზებსა და საშუალებებზე ორიენტირებული კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებას და იმ ინსტიტუციური მექანიზმების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სტრატეგიული ხედვების პრაქტიკაში დანერგვას. ბუნებრივია, თითოეულ ამ ეტაპზე გვჭირდება ჩვენი მოკავშირეების, პარტნიორების მხარდაჭერა. ნატო გამოხატავს მზადყოფას მეტად დაეხმაროს საქართველოს, როგორც ასპირანტ ქვეყანას ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, რათა ალიანსის ყველა წევრი დავარწმუნოთ მომავალში, რომ ქვეყანა ნატო-ში წევრობის სამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისის“ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი

უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა კრიზისისთვის არ არის მზად



საერთაშორისო ურთიერთობების ავანსცენაზე უკრაინის ირგვლივ შექმნილი ვითარება ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. ფართომასშტაბიანი ომის დაწყების კონტექსტში ყველა საუბრობს

თუ რამდენად შეძლებს უკრაინა საანადო წინააღმდეგობის გაწევას. აღნიშნულ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მდგომარეობა.

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის დახმარებით უკრაინაში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის მდგომარეობის შეფასება მოხდა რის მიზანიც აღნიშნული სისტემის განვითარების და გაუმჯობესების გეგმების შემუშავებაც უნდა მოყვეს.

მიმდინარე წლის დეკემბერში უკრაინაში მყოფი ამერიკელი ექსპერტების მიერ უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის მთლიანი შეფასება განხორციელდა. აღნიშნული შეფასების დროს მოხდა უკრაინის შეიარაღებული ძალების შესაბამისი ნაწილების დათვალიერება და მათი ხელს არსებული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მდგომარეობის შესწავლა.

ამერიკელი ექსპერტების დასკვნის მიხედვით დღეს უკრაინის ხელთარსებული შესაძლებლობების ორგანიზებული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შექმნა შესაძლებელია, თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი განახლებას საჭიროებს.

უკრაინული მხარე იმედოვნებს, რომ აშშ-ის ჩართულობით სამხედრო სფეროში თანამშრომლობა მომავალში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. თუმცა სავარაუდოა, რომ სამხედრო სფეროში დახმარების მოცულობა და ინტენსივობა აშშ მხრიდან მნიშვნელოვნად იქნება პოლიტიკურ ფაქტორებზეც დამოკიდებული.

ნებისმიერ შემთხვევაში, უკრაინის წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის განვითარება კიევისთვის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელია კომპონენტია.

არასაკმარისი თავდაცვის საშუალებები აშშ-ის წყნარი ოკეანის საბრძოლო თეატრზე

იაპონიაში აშშ-ის სამხედრო ძალების მეთაურის განცხადებით, სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიის და დასავლეთ წყნარი ოკეანის რეგიონში განთავსებულ სამხედრო ძალებს არ აქვთ საკმარისი სარაკეტო თავდაცვა. განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ რეგიონში აშშ-სა და მისი მოკავშირეების უსაფრთხოებას ემუქრება არა მარტო ჩინეთი, არამედ სხვა ქვეყნებიც. ამის შესახებ განცხადება აშშ-ს იაპონიაში სამხედრო ძალების მეთაურმა ჯო ვოველმა გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ სარაკეტო თავდაცვის საკითხი, ჩინეთის მიერ ჰიპერბერითი შეიარაღების კოსმოსში გამოცდის მერე მწვავედ დადგა აშშ-ს სამხედრო ძალებში. გენერალ ჯო ვოველის განცხადებით, ჩინეთი ყოველდღიურად აძლიერებს სარაკეტო შეიარაღებას რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს როგორც აშშ-ს ისე, მისი მოკავშირეების მხრიდან.

გენერლის თქმით: „ამას თან ერთვის ჩრ.კორეის მხრიდან ბირთული შეიარაღების შემდგომი განვითარების მცდელობები და რუსეთის მხრიდან აგრესიული მოქმედებები, რაც რეგიონში აშშ-ს გავლენის მაქსიმალურ შეკავებას ემსახურება. ჯამში სამივე აქტორი ცდილობს სანაპირო ხომალდსაწინააღმდეგო ბალისტიკური რაკეტების სისტემის განვითარებას, რაც მიზნად აშშ და მისი მოკავშირეების, კერძოდ იაპონიის ხომალდების აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში

წვდომისა და მანევრის შეზღუდვას ემსახურება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა პრობლემური მიმართულებით“.


როგორც პენტაგონის წყნარ ოკეანეზე ფოკუსირების პოლიტიკის ნაწილი, აშშ-ს სამხედრო ძალებში აქტიურად მუშაობენ შორს მსროლელი ზეზუსტი სისტემების განვითარებაზე, პირველ რიგში მათი ზემოთ აღნიშნულ რეგიონში გამოსაყენებლად, რაც აშშ-ს სამხედრო ძალების მოდერნიზაციის ერთ-ერთი მთავარი ფოკუსია.

აღნიშნულზე მეტყველებს რამდენიმე დღის წინ მიღებული ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტი, რომლის [7.1 მილიარდიანი ნაწილი](#) მიმართულია ე.წ. „წყნარი ოკეანის შეკავების ინიციატივის“ საჭიროებებზე. სწორედ აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში გადასადგმელი ზომები მიმართული უნდა იყოს აშშ-ს და მისი მოკავშირეების რეგიონში არსებული სამხედრო შესაძლებლობების განვითარებაზე, მათ შორის იმ მიმართულებით, რაზეც გენერალი ვოველი აცხადებს.

როგორც გლობალურ სცენაზე განვითარებული მოვლენები აჩვენებს, სამხედრო შეიარაღების რბოლაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონი აქტიურად ჩართულია. აღნიშნულზე რეაგირება იაპონიასაც უწევს და შესაბამისად ზრდის სამხედრო ხარჯებსაც, რომელიც თავის მხრივ აშშ-ს მთავარი მოკავშირეა რეგიონში. როგორც არ უნდა გავითარდეს მოვლენები, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში აშშ-ს დიდი რესურსების ჩადება მოუწევს არსებული სამხედრო საფრთხეების შესაბამისი შესაძლებლობების შენარჩუნება და განვითარებისათვის. ამერიკელი გენერლის მოწოდებაც სწორედ ამისკენ არის მიმართული.

ანი შანიძე, „ჯეოჯეტის“ უმცროსი მკვლევარი

Covid - 19 და „მწვანე პასპორტი“



9 ნოემბერს საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ გაკეთებული განცხადებით და იმუნიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილებით, საქართველოში 12-15 წლის მოზარდებს, მშობლის თანხმობის საფუძველზე, „ფაიზერის“ ვაქცინით აცრიან.

რაც შეეხება „ბურსტერ“ დოზას, მას ორჯერ აცრილი პირები მიიღებენ 10 ნოემბრის შემდეგ „ბურსტერ“ დოზა სურვილისამებრ შესაძლებელია იყოს „ფაიზერი“ ან „სინოფარმისა“ და „სინოვაკის“ დოზები.

საქართველოში ვაქცინაციის პროცესი 2021 წლის მარტში დაიწყო და 9 ნოემბრის მდგომარეობით, სრულად აცრილია 954 991 ადამიანი, ხოლო მხოლოდ ერთი დოზით 97 322. ამ ტემპის გათვალისწინებით კი საეჭვოა, წლის ბოლომდე ვაქცინაციის 60 %-იანი გეგმის შესრულება.

ვაქცინაციის წასახალისებლად ხელისუფლებამ პირველი დეკემბრიდან კოვიდ-19-ის „მწვანე პასპორტები“ შემოიღო. ამავე დღიდან რესტორნებს, ბარებსა და კვების ობიექტებს მუშაობის საათობრივი შეზღუდვა მოეხსნათ. 18+ ასაკის მქონე მოქალაქეები მხოლოდ „მწვანე პასპორტის“ არსებობისას შეძლებენ მიიღონ მომსახურება: კვების ობიექტებში, რესტორნებში, კაფეებისა და ბარების ღია და დახურულ სივრცეებში, ოპერაში, თეატრებში, კინოთეატრებში, საკონცერტო დარბაზებში, გასართობ ცენტრებში, სამორინეებსა და სათამაშო ბიზნესის ობიექტებზე, გარდა ამისა, ფიტნეს-დარბაზებში, სპა-ცენტრებში, სასტუმროებსა და საბაგრო გზებზე.

მოქალაქისთვის მწვანე სტატუსი ენიჭება თუ ის არის სრულად აცრილი, გადატანილი აქვს კოვიდ - 19 და ვირუსის დადასტურებიდან გასულია 14 დღე, ჩატარებული აქვს PCR ტესტი ან ჩატარებული აქვს 24 საათიანი ვალიდურობის მქონე ანტიგენ ტესტი.

„მწვანე პასპორტის“ აღება შესაძლებელია იუსტიციის სახლებში, ან შემდეგ აპლიკაციებში: **Georgia e-Health** და **CovidPass Georgia**.